საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური

EMERGENCY MANAGEMENT SERVICE

ES 4 18 00082878

03/12/2018

სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის
III-IV კლასის შენობა-ნაგებობების სანებართვო განყოფილების
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს
**თეონა ახალაშვილს**

**ქალბატონო თეონა,**

თქვენი 2018 წლის 27 ნოემბრის N60-01183311265 წერილის (სამსახურში რეგისტრაციის თარიღი 27.11.2018; N 81442) პასუხად გაცნობებთ, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სპეციალისტების მიერ „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57-ე დადგენილების 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად, განხილული იქნა ქალაქ თბილისში, ცოტნე დადიანის ქუჩა N47-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.12.20.030.027) მრავალფუნქციური კომპლექსის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი, სახანძრო უსაფრთხოების მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის ნაწილში.

წარმოდგენილი სამშენებლო დოკუმენტაციის განხილვის შედეგებით დადგინდა, რომ ქალაქ თბილისში, ცოტნე დადიანის ქუჩა N47-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.12.20.030.027) მრავალფუნქციური კომპლექსის კორექტირებულ დაპროექტების დოკუმენტაციაში სრულად არ იქნა გათვალისწინებული საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიმდინარე წლის 23 ოქტომბრის N ES 5 18 00072870 წერილის მე-7 , მე-9 და მე-14 პუნქტების მოთხოვნები, კერძოდ:

**1**.მიწისქვეშა ავტოსადომში ჩამავალი ლიფტის შახტაში შესასვლელში, არ იქნა გათვალისწუნებული ტამბურ-რაბის მოწყობა, (აღნიშნული არ შეესაბამება ტამბურ-რაბების მოწყობის მოთხოვნებს);

**საფუძველი:** 154.13130.2013 პუნქტი 5.2.10;

**2** .შენობის საცხოვრებელი ან/და საოფისე ფართობებიდან არ იქნა გათვალისწინებული ერთმანეთისგან დამოუკიდებელი შესასვლელების და საევაკუაციო გასასვლელების მოწყობა;

**საფუძველი:** SP 160.1325800.2014 პუნქტი 6.1.4 ; SP 54.13130.2016 პუნქტი7.2.15;

**3**. არ იქნა გათვალისწინებული ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების პროექტების შემუშავება და საგანგებო სიტუაციებუის სამსახურში წარმოდგენა.

გაცნობებთ, რა ზემოთ აღნიშნულს, წარმოდგენილი სამშენებლო დოკუმენტების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, უზრუნველყოფილი უნდა იქნას შენობის პროექტში სათანადო ცვლილება- დამატებების შეტანა, ხოლო კორექტირებული სამშენებლო დოკუმენტაცია ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების დაპროექტების დოკუმენტაციასთან ერთად, წარმოდგენილი იქნას საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში შემდგომი განხილვისა და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისობის თაობაზე სათანადო დასკვნის მოსამზადებლად.

გათვალისწინებული უნდა იქნას ის გარემოება, რომ იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდება წერილში აღნიშნული შენიშვნა-წინადადებების თანახმად, დაპროექტების დოკუმენტაციაში შესაბამისი ცვლილება-დამატებების შეტანა, როგორც წესი შეფერხდება არქიტექტურული პროექტის განხილვის პროცედურა და სამშენებლო დოკუმენტაციის სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისობის ნაწილში დასკვნის მომზადება.

**პატივისცემით,**

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური /
ზედამხედველობის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი
თალაკვაძე ზურაბი